




ხაშურის მთაშუა



№28 (109)


19 ივლისი, ოთხშაბათი, 2017 წელი

ხაშურში საუკუნის პროექტი - „ახალი ბანას“ სამონასტრო-საგანმანათლებლო კომპლექსის მშენებლობა იწყება

2017 წლის 15 ივლისი სამუდამოდ შევა ჩვენი ქალაქის ისტორიაში. სწორედ ამ დღეს დაიწყო საუკუნის პროექტის „ახალი ბანას“ სამონასტრო-საგანმანათლებლო კომპლექსის მშენებლობა. ეს ფაქტი თამამად შეიძლება კიდევ ერთ ხილულ სასწაულს შევადაროთ. ეს იყო დღე, როდესაც ქვეყნის გეოგრაფიულ ცენტრში, აღმოსავლეთ-დასავლეთ-სამხრეთ საქართველოს გზაგასაყარზე, სურამისა და ხაშურის ეპარქიაში, ფაქტობრივად, წარსულთან მიახლოვება, ან პირიქით - წარსულის დღევანდელ დღესთან თანხვედრა მოხდა. ბანას ისტორიული ტაძარი ქართული წინარენესანსული ეპოქის ერთგვარი სიმბოლოა. სასწაულია, რომ ამ დიდებული ქმნილების, ფაქტობრივად, ზუსტი ასლი ჩვენი ქალაქის თავზე აღიმართება და ქართული სულის ერთიანობის გვირგვინად იქცევა. პროექტის ავტორი ხაშურის ეპარქიის ეპისკოპოსი, მეუფე სვიმეონია, მის აღმშენებელი კი დარწმუნებული ვართ, სრულიად საქართველო იქნება. როგორც მეუფემ ბრძანა: „ზუსტი ასლის აღდგენა ნანგრევებიდან შეუძლებელი იყო, მაგრამ „ახალი ბანა“ იქნება მასთან ძალიან მიმსგავსებული. მსგავსი შემთხვევები საქართველოს ისტორიაში ყოფილა. ერთიცაა: ახალი ტაძრის მშენებლობის მთავარი მიზანი არაა ძველის უზუსტესი არქიტექტურული განმეორება. მისი ძირითადი მიზანი სასულიერო და საგანმანათლებლო მნიშვნელობაა. ჩვენ ვცდილობთ მაქსიმალურად შევინარჩუნოთ ის ისტორიული მნიშვნელობა, რომელიც ბანას გააჩნია. საწინააღმდეგო აზრები შეიძლება ყველას გაუჩნდეს, რატომ მაინცდამაინც ბანა, მაგრამ მას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის განვითარებისათვის. ეს იქნება სივრცე, სადაც ნებისმიერ ადამიანს ექნება საშუალება შეხვედრები მოაწიოს. ეს იქნება თავშეყრის ადგილი კეთილი იდეებისათვის. იქ იქნება კათარზისი, სამეცნიერო დარბაზი, ხატწერის თვისებების აღდგენა და ა.შ. იმედს გამოვთქვამთ, რომ ახალი ბანა ყველას გაგვაერთიანებს. რაც მთავარია, ყველას ექნება შესაძლებლობა, რომ თავისი წილი აგური დაღოს მშენებლობაზე...“

...15 ივლისი, 13 საათი, ხაშურში „ზემო სერის“ მთა. „ახალი ბანას“ საძირკველის კურთხევა... რამდენიმე დღით ადრე დაანონსებული, ეს ინფორმაცია სრულიად საქართველოს მოედო და იმ დღეს დიდიდანვე, დაიძრა ხალხის ნაკადი ზემო სერისკენ. ადგილობრივების გარდა, რომლებიც ათასობით იყვნენ კურთხევის რიტუალზე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდანაც მრავლად იყვნენ ჩამოსულები. ეროვნულ სამოსში გამოწყობილი ახალგაზრდები, ჩოხოსნები თუ ქართულ დროშებით აღჭურვილი მრევლი

(დასასრული II გვერდზე)



ხაშურში საუკუნის პროექტი - „ახალი ბანას“ სამონასტრო-საგანმანათლებლო კომპლექსის მშენებლობა იწყება

(დასასრული)

ულამაზეს სანახაობას ქმნიდა. გრანდიოზული პროექტის გახსნა ტაძრის საძირკველის კურთხევით დაიწყო, რომელიც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ წმინდა სინოდის წევრებთან ერთად აღავლინა.

„ღმერთმა ინებოს, მაღლი ღვთისა გადმოვიდეს ამას ტაძარსა ზედა. ყოველი ადამიანი, რომელიც სთხოვს უფალს დახმარებას, აღესრულოს მას,“ – განაცხადა პატრიარქმა.

ტაძრის კურთხევაზე სიტყვა წარმოთქვა ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვიციანიძემ: „ღმრთივენი დღე გახლავთ ერთ-ერთი იმ მნიშვნელოვანი გვირგვინთაგანი, რომლითაც აღინიშნება ჩვენი პატრიარქის მოღვაწეობა. მას წელს უსრულდება აღსაყდრების 40 წლის და დაბადებიდან 85 წლისთავი. წელს, ასევე, აღვნიშნავთ ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 100 წლისთავს. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მოგილოცოთ, თქვენო უწმინდესობა, ეს ღირსშესანიშნავი, ძალიან მნიშვნელოვანი იუბილე მთელი ჩვენი ერისთვის. აგრეთვე, ყველა თქვენგანს მინდა, მივულოცო ამ უმნიშვნელოვანესი კომპლექსის მშენებლობის დასაწყისი“, - მიმართა პრემიერმა მშენებლობის კურთხევის ცერემონიაზე შეკრებილ საზოგადოებას.

ტაძრის კურთხევამდე და შემდეგ ყველას ეცნობა, რომ ახალი ბანას საგანმანათლებლო ცენტრში იქნება თანამედროვე ტექნოლოგიებითა და სტანდარტებით აღჭურვილი დარბაზები, კომპიუტერული აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები და ბიბლიოთეკა, სადაც სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები სასწავლო და სამეცნიერო შეხვედრებს გამართავენ და შეეძლება ერთმანეთს გაუზიარონ თავიანთი გამოცდილება და ცოდნა. სასწავლო პროცესის და სამეცნიერო მუშაობის პარალელურად სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ მოილოცონ ახალი ბანას ტაძარი და დაესწრონ ღვთისმსახურებას, გაეცნონ მონასტრულ ცხოვრებას, მონაწილეობა მიიღონ მონასტრის ყოველდღიურ საქმიანობაში, დააგემოვნონ მონასტერში მომზადებული ტრადიციული ქართული კერძები და განიტვიტონ უმშვენიერეს ბუნებაში.

ახალი ბანას სამონასტრო-საგანმანათლებლო ცენტრი თავისი არსებობით ხელს შეუწყობს თეოლოგიურ და სხვა სამეცნიერო დარგებში საზოგადოების ცოდნის დონის ამაღლებას. მეცნიერებისა და განათლების უდიდეს მნიშვნელობაზე არაერთხელ უსაუბრია საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს. როგორც ილია II ბრძანებს: „მეცნიერებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ, რადგან ის გადაარჩენს ჩვენს ხალხს. თუ ჩვენ მეცნიერება დაკარგავთ და დავივიწყეთ, ქართველი ხალხი დაიღუპება. მეცნიერება ცვლის ადამიანის ბუნებას და ხასიათს. თუ განათლებულია ადამიანი, მეტ პასუხისმგებლობას გრძნობს ღვთის, სამშობლოსა და ოჯახის წინაშე“.

მაშ ასე: 2017 წლის 15 ივლისი. ახალი ბანას მშენებლობა დაიწყო. იმედია, უფლის შეწევნით, მშენებლობის დასრულებას სულ ჩქარა იხეიმებს სრულიად საქართველო.



ბანა — ბანას ძელი ჭეშმარიტის (ანუ ძელი ცხოვლის, იგივე წმ. ჯვრის) სახელობის საკათედრო ტაძარი საქართველოს ერთ-ერთი საეკლესიო და სახელმწიფოებრივი ცენტრი ისტორიულ ტაოს ტერიტორიაზე, ჭოროხის ხეობაში, მდ. ბანის მარჯვენა ნაპირას. ტაძარი ძელი ცხოვლის (ძელისა ჭეშმარიტისა) სახელობის იყო. ამჟამად თურქეთის საზღვრებშია „ფანაკის“ სახელწოდებით. ფანაკის ჭეშმარიტ ქართულ სახელად უფრო ბანა ჩანს. „ქართლის ცხოვრებაში“ ყველგან ბანა გვაქვს „...მოერთვის ჭოროხს მდინარე ბანა-ფანასკერტისა, გამომდინარე ყალნუ მთისა და მომდინარე აღმოსავ-

წლის მინაწერში: „...დაიწერა ქ(ო)რ(ო)ნიკონსა ასოთხმოცდაცხრამეტსა, მ(ო)ნ(ა)სტერსა ძელისა ჭ(ე)შმარიტის(ა)სა ბან[ა]ს.

ბანას ტაძარი ძელი ქართული ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო ძეგლია. დიდი ზომის მაღალ ტეტრაკონქს გარს ეკვრის თითქმის 40 მ დიამეტრის მრავალწახნაგა გარსშემოსავლელი. შუაში აღმართულია ცილინდრული გუმბათის ყელი. ტეტრაკონქის მკლავებს შორის განლაგებულია გუმბათქვეშა ბურჯები — პილონები, სადაც სამიარუსად მოწყობილი სადგომებია (პატრონიკენი), ხოლო ოთხივე აფსიდის ქვემოთა ნაწილი, ჩვეულებრივი მთლიანი კედლის ნაცვლად, გამჭო-

ბ ბ ნ ბ



ლი თაღებით გარსშემოსავლელისაკენ იხსნება. შენობის მთელი სიმაღლე 30 მ აღემატება. ტაძრის ხუროთმოძღვრული დეტალები და მორთულობა ტექნიკური ოსტატობითა და მაღალმხატვრულობით გამოირჩევა. აფსიდებისა და პატრონიკეთა მკლავებში მოთავსებული მრგვალი სვეტები შემკულია ვოლუტებიანი სვეტისთავეებით, ფასადის მთელ პერიმეტს მისდევს დეკორატიული თაღები, თაღებს ზემოთ კი მცენარეული ჩუქურთმებია.

პირველი ცნობები ბანას ტაძრის საკუთრივ არქიტექტურული სახის შესახებ დაგვიტოვა გერმანელმა მოგზაურმა და ბოტანიკოსმა კარლ კოსმა. „ეს უეჭველად ყველაზე მშვენიერი და დიდებული რამაა, რაც კი მსგავსი რამ მინახავს ოდესმე მთელს აღმოსავლეთში, თუ, რა თქმა უნდა, კონსტანტინეპოლს არ ჩავთვლით...“ მან იგი 1843 წელს დაათვალიერა, როდესაც ძელი ჯერ კიდევ მთლიანად იყო შემონახული და გამოსცა მისი აღწერა და გეგმის ჩანახატი თურქეთსა და კავკასიაში თავის მოგზაურობაზე დაწერილ წიგნში.

კ. კოხის შემდეგ, 1879 წელს თავის დღიურში მოხსენიებული აქვს უკვე დანგრეული ბანა კავკასიელ მოღვაწეს ე. ვეიდენბრაუშს. 1881 წელს, წარწერების სამეცნიერო შესწავლის მიზნით ბანა მოინახულა დიმიტრი ბაქრაძემ. მანვე გამოაქვეყნა იმხანად უკვე დანგრეული ტაძრის მოკლე აღწერა.

ბანას ხუროთმოძღვრების კვლევის ახალი ეტაპი 1902 წელს დაიწყო, როდესაც ძელის შესწავლას შეუდგა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი, არქიტექტორ ს. კლდიაშვილთან ერთად. ე. თაყაიშვილი მეორედ ბანას 1907 წელს ეწვია, ამჯერად არქიტექტორ ა. კალგინის თანხლებით. ორივე ექსპედიციის შედეგები 1909 წელს გამოქვეყნდა

ლეთიდან დასავლეთად. ...ამ წყალზედ, მთაში არს ბანა, აწ უწოდებენ ფანაკს“. ამ პუნქტის სახელი უფრო ძველად მარტივად ბანა კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ ბანაკი (შდრ. აგარაკი აგარა, მუშაკი მუშა).

ბანა ოლთისიდან 33, ხოლო არტაანიდან 79 ვერსის მანძილზეა. 1889 წელს ფანაკში ნანახებია 43 კომლი, ხოლო „დავთრის“ დროის ფანაკში 36 კომლია (აქედან ორი კომლი მუსლიმია). ამ პერიოდში ფანაკს შექვეყრილი ქონია გადასახადი 30 000 ახნის ოდენობით.

VII საუკუნის შუა წლებში აქ ააშენეს დიდი ტაძარი. ადარნასე II-ის დროს (881-923) დაარსდა ბანის საეპისკოპოსო, ხოლო ტაძარი გადაკეთდა. XI საუკუნის ისტორიკოსი სუმბატ დავითის ძე გვამცნობს, რომ ტაძარი აუგია დავით I კურაპალატის ძეს — ადარნასე II-ს, კვირიკე ბანელის ხელით, რომელიც ბანას პირველი ეპისკოპოსი გამხდარა. გარდაცვალების შემდეგ იქვე დაუკრძალავთ. ბანა ქართველ მეფეთა საზაფხულო სამყოფი და აგრეთვე მეფეთა განსასვენებელიც იყო. X-XI საუკუნეებში ბანაში მოღვაწე ზაქარია ბანელის თაოსნობით ბევრი ძვირფასი ხელნაწერი შეიქმნა.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ბანელი ეპისკოპოსის ძალაუფლება ვრცელდებოდა ფანასკერტზე, ტაოზე, ოლთისზე და მათ მომიჯნავე ტერიტორიებზე.

ბანას დიდ ისტორიულ მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ აქ დაიწერა ჯვარი საქართველოს მეფე ბაგრატ IV-მ (1027-1072 წწ.) ბიზანტიის იმპერატორის რომანოზ III არგიროსის დაზე — ელენეზე. ეს ჯვრისწერა ასახულია ოშკის სამხრეთ მკლავის ფრესკაზე, სადაც ბანას გამოსახულება დღემდე შემორჩენილია. აქვე, XV საუკუნეში, დაკრძალეს საქართველოს მეფე ვახტანგი და მისი მეუღლე სითიხათუნი.

ოსმალეთის იმპერიის დროს ბანას ტაძარი ციხე-სიმაგრედ გადაქცევიდა და 1877-1878 წლებში, რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში ძლიერ დაზიანებულია.

„აღაშენა ბანა ჭელითა კვრიკე ბანელისათა, რომელი-იგი იქმნა პირველ ეპისკოპოს ბანელ.“ მატიანე ქართლისაჲ — დან ვკებულობთ თუ რაოდენი საეკლესიო და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონია ბანას მომდევნო საუკუნეებში - აქ აღნიშნულია, რომ ბანას დაწერეს ჯვარი 1030 წლის ახლო ხანებში მეფე ბაგრატ IV-მ და ბიზანტიელმა მეფისწულმა ელენემ. ამასთანავე, სხვადასხვა დროს ეს კათედრალი ბაგრატიონთა სახლის განსასვენებელიც ყოფილა.

ყველა ცნობას შუასაუკუნოვანი ქართული ხუროთმოძღვრების ამ ძეგლზე ერთგვარად აჯამებს XVIII საუკუნის შესანიშნავი ისტორიკოსი და გეოგრაფოსი ვახუშტი ბატონიშვილი. თავის შრომაში ის სწერს: „ამას [ფანასკერტის] ზეით, ... მთაში, არს ბანა, აწ უწოდებენ ფანაკს. აქა არს ეკლესია გუმბათიანი, დიდი შუენიერად ნაგები, კეთილ-შუენიერს ადგილს, აღაშენა მეფემან ადარნასემ, და დაფლულ არიან მეფენი. იჯდა ეპისკოპოსი...“

თუ ვის სახელზე იყო ბანას ტაძარი აგებული, დაფიქსირებულია 1511

კ. კოხის აღწერა კარლ კოხის სიტყვებით ნაგებობა შედგებოდა ზღუდისა და თვით ეკლესიისაგან ოთხი სამლოცველოთი, რომლებიც კუთხეებზე იმდგვარადაა მიშენებული, რომ სადგომი ეკლესიასა და ზღუდეს შორის სავალად მოხერხებულია, ხოლო ზევიდან კი გადახურულ წრისებრ გარშემოსავლელს წარმოადგენს. ეკლესიის ნავი გარშემოსავლელს



უშუალოდ უკავშირდება უკანიდან გახსნილი ჯვრის მკლავების მეშვეობით. ნავის კამარა სვეტებს ებჯინება. წრისებრი გარშემოსავლელის კედლები ზევითკენ გადასულია ვეებერთელა მკლავებზე დაყრდნობილ გუმბათში და, ამგვარად, უშუალოდ, უკავშირდება უკანიდან გახსნილი ჯვრის მკლავების მეშვეობით. ნავის კამარა სვეტებს ებჯინება. წრისებრი გარშემოსავლელის კედლები ზევითკენ გადასულია ვეებერთელა მკლავებზე დაყრდნობილ გუმბათში და, ამგვარად, უშუალოდ ეკლესიაშიც.

ახერხაიჯანულმა ნავთობმა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში მიიქცია მსოფლიოს ყურადღება. ნავთობის ათვისების საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს ქართველმა მრეწველებმა. ვინ იყვნენ ისინი, რას ამბობს ისტორია მათ შესახებ... ამ და სხვა საინტერესო კითხვებზე ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე, პროფესორი ვაჟა შუბითიძე გვპასუხობს, რომელიც დიდი ხანია ამ საკითხებზე მუშაობს.

- დღეს ნავთობის ფლობა განსაზღვრავს ამა თუ იმ ქვეყნის დიდ შემოსავალს და განვითარების შანსს. ამჟამინდელი კრიზისის მიუხედავად, ჩვენ ვხედავთ როგორ წინ მიდის ჩვენი მეზობელი ახერხაიჯანი. რა წვლილი აქვთ ქართველებს ბაქოს ნავთობის ათვისების საქმეში?

- ვიდრე ვიპასუხებდეთ, მინდა გითხრათ, რომ სულ ახლახან გამოვიდა ჩემი რედაქტორობით პროფესორების მამუკა ჯოლობრდისა და ნინო ლიპარტიანიანის ძალზედ საჭირო და საინტერესო წიგნი „ქართველი და უცხოელი მეწარმეების სამეურნეო-საქველმოქმედო საქმიანობა საქართველოში“ (XIX-XX 20იანი წლები), რომელშიც ბევრი ახალი ფაქტის და მოვლენის შესახებ გაიგებთ.

ვიდრე ბაქოში ნავთობის სერიოზული მოპოვება დაიწყო, მანამდე ნავთობის მოპოვება-დამუშავება ხდებოდა ჩვენთანაც, შირაქში, მირზაანში და შირაქის ველზე. 1848 წელს ვორონცოვმა ყველა საბადო იჯარით გასცა. 1860-იან წლებში ამ საბადოების მეპატრონეთა შორის იყვნენ ძმები სიმენსებიც, რომლებმაც მარტო 1875 წელს კახეთის ნავთობის საბადოებიდან ამოიღეს 173 ათასი ვედრო ნავთი.



1880 -იანი წლებიდან აფშერონის ნახევარკუნძულზე დაიწყო ნავთობის სერიოზული მოპოვება-დამუშავება, რამაც ხელი შეუშალა საქართველოში ნავთობის მოპოვების საქმეს და 1902 წლიდან ამ ტიპის წარმოება მთლიანად შეჩერდა ჩვენთან.

ამერიკელ ვილსონთან ერთად ბაქოს ნავთობის წარმოებით და მერე ბათუმამდე ნავთობსადენი მილის გაყვანით დაინტერესდნენ ძმები ნობელები. ლუდვიგ ნობელმა შექმნა სინდიკატი და ითხოვდა ნედლეულის სურამის 4 კილომეტრიან გვირაბში გატარებას, რაშიც მას მხარს უჭერდა დიდი ქიმიკოსი დიმიტრი მენდელეევი.

1903 წლისთვის ეს ნავთობსადენი აშენდა (835 კმ. სიგრძის 19 სატუმბო სადგური). მილსადენის გამტარუნარიანობა შეადგენდა წელიწადში 900 ათას ტონას, დაჯდა 12 მილიონი რუსული მანეთი. სამუშაოებზე გამოყენებული იქნა პრემიის დამაარსებლის აღფრედ ნობელის 400 ტონა დინამიტი (ნობელის მიერ დამონტაჟებული ავზები დღესაც დგას ბათუმში, ხოლო მათ მიერ აშენებულ შედევთ-ნორვეგიის საკონსულოს შენობაში ბათუმში განთავსებულია ძმები ნობელების ტექნოლოგიური მუზეუმი. სხვათაშორის, ნობელებს სპეციალური კანტორა ქონდათ ხაშურშიც, ამჟამინდელი სტადიონის გვერდით.

მაღე ნობელებმა ბაქოს ნავთობის მოპოვებაზე მონოპოლია მოიპოვეს და ადგილობრივ და რუს კაპიტალისტებს ჩაგრავენ. ეს არ გამოეპარა ნიკო ნიკოლაძის მახვილ თვალს და ჯერ დაწერა, მერე მოხსენება წარადგინა პეტერბურგში და ბოლოს ნობელებს როტშიდლები დაუპირისპირა, რომლებიც მისი მოწვევით ჩამოვიდნენ საქართველოში (რობერტ ნობელი პირველად მოიწვია საქართველოში თავადმა დადიანმა. ნობელს სურდა კაკლის მერქნის შექმნა იარაღის კონდახის დასამზადებლად). როტშიდლებმა ამ საქმეში 10 მილიონი დოლარი ჩადეს და გამოყვეს კრედიტები ბათუმში ნავთობდამამუშავებელი ქარხნის ასაშენებლად. მათ დაარსეს „კასპიისა და შავი ზღვის ნავთობის კომპანია“ და 1889 წელს პირველებმა დაიწყეს ნავთის გატანა ტანკერებით (მანამდეც და მერეც ნავთი თუნუქის ბიდონებით და ხის კასრებით გაქონდათ)

1886 წელს როტშიდლების პარიზის საბანკო სახლმა შეიძინა „ბათუმის ნავთობისა და ვაჭრობის საზოგადოება 6 მილიონი კაპიტალით. ბათუმში როტშიდლების ქარხნის დირექტორი იყო ფრანგი გიონი, რომელიც სამუშაოზე იღებდა მხოლოდ ქართველებს. მისი აზრით ქართველები ყველაზე კეთილსინდისიერი მუშები იყვნენ და ყოველთვის დროულად ასრულებდნენ მინდობილ საქმეს. სულ ქარხანაში 2650 მუშა იყო დასაქმებული.

- მაინც რა როლი ჰქონდათ ქართველებს ბაქოს ნავთობის ათვისების საქმეში?

- სხვათა შორის როტშიდლებსა და ნობელებს ნავთობის მოპოვების საქმეში საკმაო კონკურენციას უწევდა თბილისში დაბადებული და გაზრდილი ა. მანთაშევი (გარდაიცვალა 1911წელს). მან ბათუმში ააშენა თუნუქის ქარხანა და გახდა 200 ვაგონისტერნის მფლობელი (მისი კაპიტალი 22 მლნ. მანეთს შეადგენდა) მანვე ბათუმში ააშენა ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის გადამამუშავებელი ქარხანა 1887 წელს და ეწეოდა საკმაო რაოდენობით ნავთობის ექსპორტს.

ალექსანდრე მანთაშევის საწარმოებში 1800 - მდე კაცი მუშაობდა, იგი ასევე გამორჩეული იყო საქველმოქმედო საქმიანობით. მისი ფინანსებით გაიხსნა სავაჭრო სკოლა, მოხუცებულთა სახლი, სასტუმრო „ბო-მონდი“, ინტერნატი მცირეწლოვანი დამნაშავეებისათვის, კერძო ბიბლიოთეკები, გაიყვანა სატელეფონო კაბელი სოლოლაკიდან დიდუბეში, რაც საკმაოდ ძვირი ფუფუნება იყო.

ნავთობპროდუქტების წარმოებით დაკავებული იყო თბილისში შექმნილი ოჯახში დაბადებული და გაზრდილი ი. პითოევი, რომელსაც ჰქონდა საკუთარი კომპანია და გადაჰქონდა ნავთობი გემებით კასპიის ზღვაზე. 1901 წელს თავისი სახსრებით ააშენა უღამაზესი შენობა, რომელსაც „პითოევის სახლს“ უწოდებდნენ და აქ ახლა განთავსებულია რუსთაველის სახელობის სახ. თეატრი. იგი ასევე ბევრჯერ დახმარებია თბილისის სამთავრობო თეატრს (ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრი), რომლის მმართველადაც იგი მიიწვიეს 1887 წლიდან.


1860-იან წლებში ბაქოში სანავთობო ადგილები შეიძინა და 1873 წლიდან ნავთის საქმეს მოჰკიდა ხელი კონსტანტინე ზუბალაშვილმა. მან მიწები იყიდა ბიბიეიბათში, სადაც ნავთის ამოსვლის იმედი არავის ჰქონდა. ამ საქმეში მას ხელი იღებდაც უშველა. ბაქოს კლიმატმა მასზე და მის მეუღლეზე ცუდად იმოქმედა. ისინი სამკურნალოდ წავიდნენ საფრანგეთის ბასკეთში, სახელგანთქმულ ლურდის ბალნეოლოგიურ კურორტზე. ეს სასწაულმოქმედი წყალი ცოლ-ქმარმა ბიდონებით თბილისში და ბაქოში ჩამოიტანეს. ბაქოში წყალი ცოტა რაოდენობით ჩაასხეს ჭაბურღილებში, საიდანაც იმავე დამით ნავთობმა ამოხეთქა, რითაც კონსტანტინე ზუბალაშვილმა დიდი მოგება ნახა და ძალზე გამდიდრდა და თავის ძმებთან ერთად მრავალი საქველმოქმედო პროექტი განახორციელა.

1873 წელს ბაქოში პირველად ძმებმა ჯაყელებმა დააფუძნეს კასრების ქარხანა ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირებისათვის, რისთვისაც საჭირო დანადგარები მარსელიდან ჩამოიტანეს. მათ 1880 წელს დაარსეს ნავთობ-სამრეწველო და სავაჭრო ამხანაგობა, რომელიც ნავთსაც იღებდა და ახდენდა მის ტრანსპორტირებასაც.

ბაქოში ნავთობპროდუქტების წარმოება-გადამამუშავების საქმით ცნობილი იყო ქართველი მეწარმე იაკობ მანსვეტაშვილი, რომელიც მეგობრობდა ნოე ყორღანიასთან.

სამხრეთ კავკასიაში ნავთობპროდუქტების წარმოებისა და ტრანსპორტირების საქმეში სახელი გაითქვა დიდმა ქართველმა მეწარმემ და ქველმოქმედმა აკაკი ხოშტარიამ, რომელიც პირადად იცნობდა ჩერჩილსა და რუზველტს, დაახლოებული იყო ირანის შაჰთან მოჰამედ რეზა ფეხლევთან და მის მემკვიდრე აჰმედ შახთან. ზურაბ ავალიშვილი მას უწოდებდა ამერიკული ყაიღის ბიზნესმენს. ეს იყო ბრწყინვალე მეზღვაურ-დევორატორი, მერე კი ხელი მოჰკიდა ვაჭრობას. მან გადაწყვიტა თავის მეგობარ ზოდელავასთან ერთად სავაჭრო გემით ნავთის წადება ოდესაში. ტუაპსესთან ქარიშხალი ამოვარდა და გემი თურქეთში

გარიყა, სადაც მათ ნავთი ოქროს ფასად გაყიდეს. აკაკიმ თავისი წილი ფული ბაქოში მილიონერ მუსანაგიევისაგან ნავთის სარეწები იყიდა და მსხვილი ბიზნესმენი გახდა. 1907წელს მან უფლება მიიღო სპარსეთის შაჰისგან ქარმიოების ბურღვა ირანის 5 პროვინციაში. მან ირანში გაიყვანა თავის ქარხანასთან რკინიგზა (პირველი რკინიგზა ირანში), მანვე პირველმა შეიყვანა ავტომობილები ირანში, ფლობდა მონოპოლიას საპნის წარმოებაზე, თევზის სარეწებზე, ვაჭრობდა მატყლით. ხოშტარია აფინანსებდა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის მთელ რიგ პროექტებს, აშშ და იტალიაში შეიძინა 4 გემი და გადასცა მთავრობას ფლოტის შესაქმნელად, 1914 წელს მან აუქციონზე ქართველ მოღვაწეთა თხოვნით შეიძინა სარაჯიშვილის სახლი, ყველანაირად მოაწყო და ქართველ მწერლებს გადასცა ხელოვანთა სახლის მოსაწყობად 1919 წელს. მის მიერ დანიშნული სტიპენდიებით ათობით ქართველი სტუდენტი სწავლობდა უცხოეთში (პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტებში), მისი დაფინანსებით გაშენდა მახინჯაურის ბოტანიკური ბაღი და ახალი ათონის ცენტრალური პარკი, ახლად შექმნილ საისტორიო - ეთნოგრაფიულ საზოგადოებას ბაქოდან გამოუგზავნა 8 ათასი მანეთი. ნიკო ნიკოლაძის ინიციატივით). მან გაიყვანა რკინიგზის ხაზი ფოთიდან მშობლიურ აბაშაში. მანვე მნიშვნელოვანი თანხები გაიღო ქართული უნივერსიტეტის (თსუ) და თეატრისთვის (50 ათასი მანეთი). აკაკიმ პარიზში შეიძინა ლალო გუდიაშვილის და ცნობილი კუბისტის ანდრე ლორტის სურათები და აწუქა საქართველოს ხელოვნების მუზეუმს. ა. ხოშტარია 59 წლის ასაკში პარიზში გარდაიცვალა.



წარჩინებულები დაჯილდოვდნენ

ამ დღეებში, ხაშურის მუნიციპალიტეტის კერძო და საჯარო სკოლების 2015 და 2016 წლების წარჩინებულ კურსდამთავრებულებს ოქროსა და ვერცხლის მედლები და შესაბამისი სერტიფიკატები გადაეცათ.

წარჩინებულ ახალგაზრდებს მედლები გადასცეს შიდა ქართლის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორმა კახა სამხარაძემ, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასპაშვილმა და ხაშურის საგანმანათლებლო-რესურს ცენტრის უფროსმა ზვიად გოგუაძემ.

დაჯილდოების ცერემონიას ესწრებოდნენ სამხარეო ადმინისტრაციის, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის, საგანმანათლებლო რესურს ცენტრის წარმომადგენლები, პედაგოგები, მედალოსანთა მშობლები.

რწმუნებულ-გუბერნატორმა მიულოცა ახალგაზრდებს ეს მნიშვნელოვანი წარმატება და აღნიშნა, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტი წარჩინებული კურსდამთავრებულების მიმართულებით რეგიონში ლიდერის პოზიციაზეა. მან იმედი გამოთქვა, რომ ცოდნას, რასაც ახალგაზრდები სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში მიიღებენ, მომავალში მათსავე მშობლიურ რეგიონს და ქალაქს მოახმარენ. მუნიციპალიტეტის გამგებელმა მისასალმებელი სიტყვით მიმართა წარჩინებულ კურსდამთავრებულებს და თანადგომა აღუთქვა ყველა სასიკეთო ინიციატივაში.

2015 და 2016 წლის წარჩინებული კურსდამთავრებულები წარმატებული სტუდენტებიც არიან. გვაქვს მონაცემები, რომლის მიხედვითაც მათი მანქნებლები მაღალია, - აღნიშნა საგან-



მანათლებლო რესურს ცენტრის ხელმძღვანელმა ზვიად გოგუაძემ სიტყვით გამოსვლისას.

2015-2016 წლებში ხაშურის მუნიციპალიტეტის კერძო და საჯარო სკოლები წარჩინებით 68 მოსწავლემ დაამთავრა. აქედან 45 მათგანი ოქროს, ხოლო 23 - ვერცხლის მედალოსანია.

ტრენინგი პოლიტიკური მენეჯმენტისა და იმიჯის შექმნის ხელოვნების სახით

“საქართველოს იურისტთა უმაღლესი სკოლის” ტრენერი თამარ ჩიბურდანიძე ღეს ხაშურის მუნიციპალიტეტს სამუშაო ვიზიტით სტუმრობდა. მან მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთათვის სალექციო კურსი წაიკითხა პოლიტიკურ მენეჯმენტსა და იმიჯის შექმნის ხელოვნებაში. ტრენინგის მონაწილეები გაეცნენ მენეჯმენტის ხერხებს როგორც ორგანიზაციული, ისე პირადი დგემარებისას, შეისწავლეს სტრატეგიული დაგეგმარებისა და იმიჯის შედგენის ძირითადი ტექნოლოგიები.

ტრენინგი დაეხმარება საჯარო მოხელეებს სწორი სტრატეგიების განსაზღვრასა და საზოგადოებასთან კომუნიკაციის სწორი მეთოდების შემუშავებაში.



ემზადებიან თვითმმართველობის არჩევნებისთვის

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს თანამშრომლების, ასევე მუნიციპალური ა(ა)იპ-ების წარმომადგენელთათვის „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ წარმომადგენლებმა ტრენინგი ჩაატარეს.

ტრენინგი ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „თვითმმართველობის არჩევნების შესახებ ცნობიერების ამაღლება ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციებისა და თვითმმართველობების ჩართულობით“ ფარგლებში გაიმართა. ტრენინგებმა თვათედლიაშვილმა და ნინო ბიბილეიშვილმა მსმენელებთან ერთად განიხილეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა თვითმმართველობების ორგანოების ვალდებულებები წინასაარჩევნო პერიოდში, მათი ურთიერთობა საარჩევნო ადმინისტრაციასთან და სხვ. ტრენინგის მონაწილეებს „სამართლიანი არჩევნების“ მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოც დაურიგდათ.



ხათუნა ჩიტაძის ახალი წიბნის პრეზენტაცია

გასულ კვირას, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, გაიმართა მწერლის, პოეტის და ხელოვანის ხათუნა ჩიტაძის წიბნის „გამარჯობა, მამა“-ს პრეზენტაცია. „მიყვარს, მახსოვს და პატივს მივაგებ“. სწორედ ამ სიტყვებით დაიწყო მწერალმა მსმენელისთვის წიბნის გაცნობა, რომელიც დოკუმენტური პროზის ჟანრში ერთ-ერთი თვალსაჩინო ნამუშევარია. წიბნი მთლიანად ეთმობა ავტორის მიერ განვლილ გზას, რომელიც თავის უსაყვარლეს სოფელში ზვარეში, გაიარა. წიბნის მთავარი ფიგურა კი მისი მამაა, რომლის უკვადესაყოფადაც მწერალმა არ დაიშურა არც პოეტური სინატიფე და არც ლირიული აღმასვლები. უპირველეს ყოვლისა კი, წიბნს მთავარ ლექსობრივად წინაპრების პატივისცემა გასდევს. იმ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ხიდის შენარჩუნება, რაც ძველ თაობას ჩვენთან აკავშირებს და რაც ქართული ტრადიციონალიზმის განუყვრელი ნაწილია. „შეიძლება, დრომ წაშალოს გზა, შეიძლება, ბუნებამ შეცვალოს გარემო, მაგრამ თუ გულში შენი ქვეყნის, მიწის, წარსულის, წინაპრების სიყვარული გაქვს, თუ გული გეკუმშება სატიკვარზე, თუ ვტკივა შენი მამა-პაპის მიერ უპატრონოდ დატოვებული გზა, ეს დასასრული არ არის“ – წერს მწერალი.



მეხვედრა 26 წლის შედეგი!

ალგიდას ბრიაუნისი-ლეგენდარული მეკარე ძველ მეგობრებს ესტუმრა

იმ "შორეულ" 90-იან წლებში უნდა დაგაბრუნოთ, ძვირფასო მკითხველო. რა თქმა უნდა, გასულ საუკუნეს ვგულისხმობ. მაშინდელი "ივერია" უნდა გაგახსენოთ, რომელიც თავისი ხელწერით ერთ-ერთი გამორჩეული გუნდი იყო უმაღლეს ლიგაში და მაშინ ლიგის ვერცერთი "მჭუხარე" გუნდი ვერ იტყოდა, რომ ხაშურიდან უეჭველ სამ ქულას წაიღებდა. ის კი არა, მე პირადად, მომისმენია "დინამოს", "ტორპედოს" თუ "გურიას" ფეხბურთელებიდან



თუ მწვრთნელებიდან, რომლებსაც სსრკ ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ჰქონდათ გამოცდილება მიღებული, საყაიმო შედეგი მათთვის ყოველთვის კარგი მიღწევა იყო. სავსე ტრიბუნები, "გიუი" გულშემატკივარი, წარმოუდგენელი მხარდაჭერა და ახალდაგებული მშვენიერი სტადიონი, ერთობლიობაში დიდებული საფეხბურთო სპექტაკ

ლების წინაპირობა იყო. აფსუს, სადამდე დაეცა ქართული ფეხბურთი, რომ ანდორას, ფარერების თუ სან-მარინოს დონეს მივუახლოვდით. არადა, გადაუჭარბებლად ვიტყვი, მაშინდელი "ივერია", დღეს რომ საქართველოს ჩემპიონატში ჩაეხდებოდა, უპირობო ჩემპიონი გახდებოდა. რა თქმა უნდა, შეიძლება ბევრი შემეკამათოს, მაგრამ ფეხბურთის მაშინდელი და დღევანდელი დონე რომ შევადაროთ, უზარმაზარ განსხვავებას ვნახავთ და სამწუხაროდ, მაშინდელის სასარგებლოდ.

ღიახ, დიდებული გუნდი გვყავდა, ამ გუნდის ბეჭედში კი მართლაც მარგალიტით იყო ჩასმული, უკვე თამამად შეიძლება ითქვას, ლეგენდარული მეკარე ალგიდას ბრიაუნისი. მაშინდელ ქართულ ფეხბურთს ვარსკვლავები ნამდვილად არ აკლდა, თუნდაც ქეცბაია, არველაძეები, ქინქლაძე და სხვები გავისხენოთ და მათ ფონზეც კი "ალგისა", როგორც მას ხაშურში ეძახდნენ, კაშკაშა ვარსკვლავი იყო. ყოველ შემთხვევაში, 1991 წლის ჩემპიონატში, მისი დარი მეკარე ნამდვილად არ იყო. სხვათა შორის, იმ წელს იმაზეც კი იყო საუბარი, რომ მას საქართველოს მოქალაქეობა მიეღო და ნაკრებშიც გარანტირებული ექნებოდა ადგილი, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო, ეს გამოირიცხა.

რედაქციის ჩვეულებრივი დღე. მასალებს ჩავეირკიტებ და გაზეთის ახალი ნომრისთვის ფოტოსურათებს ვარჩევთ. ოთახის კარები ბოლომდე იღება და მაღალი, ათლეტური აღნაგობის პიროვნება რუსულად მომმართავს: -გამარჯობა, გოგი!



დავიბენი, მის სახეზე აშკარად ვხედავ ნაცნობ ნაკეთებს, თვალებიც ნაცნობია, მაგრამ ვერაფრით ვისხენებ, ვინაა ეს "რუსის" კაცი. უცებ მის უკან გაღიმებულ თემურ კობერიძეს ვხედავ, ჩვენს ვეტერან ფეხბურთელს, რომელსაც უდიდესი ღვაწლი აქვს ჩადებული ხაშურის ფეხბურთში და ყველაფერი „ლაგდება“ თავში - ალგის, ვეფერი მეც და ერთმანეთს ვეხვევით.

მკითხველს აღარ შევაწყენ თავს ერთსაათიანი მოკითხვების ამბებით. უბრალოდ ვიტყვი: ასეთ სიტუაციას და შანსს რომელი ჭკუათმყოფელი ჟურნალისტი გაუშვებდა ხელიდან და ეს პატარა ინტერვიუც შედგა:

- ალგის, უხერხული ხომ არ არის, ასე რომ გადავაკეთეთ შენი სახელი?
- არა, რას ამბობ! ეს ჩემი ხაშურული „კლინიკა“ და მსიამოვნებს კიდევ...
- მოდი, პირდაპირ გადავხტეთ 26 წლის წინ და გაიხსენე შენი ჩამოსვლის ამბები...

- ისე სპონტანურად მოხდა ყველაფერი, ახლაც გაოცებული ვარ. წინა დღეს ლიტვის ჩემპიონატის თამაში გვქონდა, თამაშს თურმე თემურ კობერიძეც ესწრებოდა, თამაშის შემდეგ მომნახა, სულ ნახევარი საათი ვისაუბრეთ, რაღაც დეტალებზე შევეთანხმდით და.. მეორე დღეს საქართველოში გავიღვიძე. თემომ პირდაპირ პატარმალღვით მომიტაცა (იცინის). ასეთი ნაუცხათევი თანხმობა იმითაც იყო განპირობებული, რომ ვიცოდი, მაშინ საქართველოში ცნობილი ლიტველი ფეხბურთელები ფრედერიკასი, მაჟეიკასი, ზდანჩეუსი, ბალტუშნიკოვი, ვინკოვიჩიუსი, თამაშობდნენ და ესეც მძლავრი არგუმენტი იყო ჩემთვის. თანაც ქართული ფეხბურთი მაშინ საბჭოთა კავშირში კი არა, ევროპაშიც ქუხდა და ჩემი დასაწუნი რა ჭირდა?

- ალგის, რადგან ეს თემა ახსენე, მოდი, უფრო განვავრცოთ. „ივერიის“ შემდეგ შენ დანიის „კოპენჰაგენშიც“ ითამაშე. შეგიძლია შეადარო მაშინ-

დელი დანიისა და საქართველოს ჩემპიონატები?

- არაფერს გადაჭარბებულს არ ვამბობ და საქართველოს მაშინდელი ჩემპიონატი თუ არ აღემატებოდა, არაფრით ჩამოუვარდებოდა დანიისას. ჩვენი „ივერია“ რომ მაშინ „კოპენჰაგენს“ შეხვედროდა, ხაშურში თავპირს დავახვევით(იცინის). ყოველ შემთხვევაში, არაფერს დაფუთობდით და ტოლ-სწორად ვეთამაშებოდით.

- „ივერიის“ შემდეგ როგორ წარიმართა შენი კარიერა?
- ჯერ, „დაუგავას“ კარის დარაჯი ვიყავი. შემდეგ მოსკოვის „სამარალში“ გადავედი, სადაც ლეგენდარული ბესკოვის მიწვევით მოვხვდი, მას კი ასევე ცნობილი ასისტენტები მალაფეები და ფელოტოვი უდგნენ მხარში. სამწუხ-



აროდ, ორ წელიწადში კლუბს ფინანსური პრობლემები შეექმნა და უკრაინის „გალიჩინაში“ გადავედი. შემდეგ იყო ესტონეთის „ფლორა“ და „კოპენჰაგენი“.

- ალგის, გაწვევტინებ და რა დაუჯდა დანიის ცნობილ კლუბს შენი ტრანსფერი?
- 100 ათასი დოლარი. (მკითხველს გვინდა, განვუმარტოდ, რომ მეკარეში გადახდილი ეს თანხა მაშინ ძალიან დიდი იყო. დღევანდელი გადასახედიდან დაახლოებით 3-4 მილიონი გკ.)

- გახდი დანიის ჩემპიონი?
- არა, იმ წელს მეორე ადგილზე გავედი, თუმცა დანიის თასი მოვიგეთ.
- ჩილოებში ბევრი დაგიგროვდებოდა...
- დანიის თასის გარდა, ვარ ლიტვის, ესტონეთის ჩემპიონი და თასის მფლობელი.

- რომელ წელს დაამთავრე აქტიური სპორტი?
- 2005-ში.
- შემდეგ?
- შემდეგ იყო „მეტალურგი“ მოთამაშე მწვრთნელის ამჟღაში და 10 წელი „ლევალიაში“, 6 წელია კი - კალეკის „სელამია“-ში ვიყავი, გასულ წელს კი „კალეკის“ უფროსი მწვრთნელად ვმუშაობდი.
- ასეულობით მატჩი გითამაშია, შეგიძლია ერთი ყველასგან გამორჩეული გაიხსენო?

- ალბათ მაინც ლიტვა-ბრაზილია. იმდენი მოვახერხე, რომ რონალდოს („კიკას“) გოლი არ გავატანინე. სხვათა შორის, ამ მატჩის შემდეგ დავმეგობრდით და დღემდე ვურთიერთობთ.
- ქართველებს ერთი გენიალური ფილმი გვაქვს - „ჯარისკაცის მამა“. იქაა კადრი, როდესაც სურგო ზაქარიაძის გმირი ვახს ეფერება გერმანიაში და ეჩურჩულებს: - აქ რამ მოგიყვანა, შე დალოცვილო?! იგივე კითხვა უნდა დაგისვა შენც...

- (იცინის) მახსოვს ეგ ფილმი და ეგ კადრიც. მონატრებამ მომიყვანა, ძველი მეგობრების ნახვის სურვილმა მომიყვანა, 26 წლის წინანდელმა ლამაზმა მოგონებებმა მომიყვანა... სხვათა შორის, გასულ წელს დავეკორწინდი და მე და ჩემმა მეუღლემ - ვილმა ბრიაუნემ- ერთგვარი საქორწინო მოგზაურობა მოვაწყეთ...

ვილმაც რედაქციის სტუმარი იყო იმ დღეს და მასაც დაუუსვით კითხვები.
- ვილმა, როგორია შთაბეჭდილებები?
- საოცარი სამშობლო გაქვთ, უღამაზესი. ქართველები კი ყველაფერში ჩემპიონები ხართ. ალგიდას ვეუბნებოდი, გავისხენებენ კი 26 წლის შემდეგ - მეტიკი და ეცინებოდა. ასეთ დახვედრას ვერც წარმოვიდგენდი. ლიტვაში მარტო იმით გავაოცებ ყველას, როცა ვიტყვი, რომ ერთი წლის სამყოფი დვინო ოთხ დღეში დაველიეთ (იცინის): მადლობა, ქართველებო ყველაფრისთვის... ასე დამთავრდა ეს დღე. სადამოს პერიპეტებს კი აღარ მოვუთხრობ მკითხველს, თუმცა, თუ ძველ მეგობრებთან და ივერიელებთან გადადებულ სურათს დახედავთ, ვფიქრობ, არც იმ სადამოს ამბების „წაკითხვა“ უნდა გაუჭირდეს ვინმეს.

გ. გოგოლაძე

განცხადება

მიმდინარე წლის 11 აგვისტოს, სურამში (სარაჯიშვილის ქ. №1) ჩატარდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის "სურამი 2017" საერთო კრება. დღის წესრიგში იქნება ერთი საკითხი: კოოპერატივის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების გადაცემა ამავე კოოპერატივის წევრებისათვის. კრების დასაწყისი-15 საათი
კოოპერატივის გამგეობა

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27. E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499. P-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.